ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060608

ქვეპროგრამის დასახელება:

შშმ სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2024 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	40,000
სულ ბიუჯეტი:	40,000

ქვეპროგრამის მიზანი:

შშმ სტატუსის მქონე მშობლებისა და ორსული ქალების მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 2000 ლარის ოდენობით ერთ წლამდე ასაკის ბავშვის შშმ სტატუსის მქონე მშობლებსა და შშმ სტატუსის მქონე ორსულ ქალებზე (22 კვირისა და მეტი ვადის ორსულობა). დახმარების თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე. ერთჯერადი მატერიალური დახმარების მისაღებად მოქალაქეს შეუძლია მიმართოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და წარადგინოს:

1.დაინტერესებული პირის განცხადება;
2. პირადობის მოწმობის (ან სხვა დოკუმენტის, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია) ასლი;
3. შშმ სტატუსის დამადასტურებელი საბუთის ქსეროასლი;
4. ბავშვის დაბადების მოწმობა;
5. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული იქნება გესტაციის ვადა;
5.საბანკო რეკვიზიტი;
6.მოქალაქის საინფორმაციო ბარათი რეგისტრაციის მისამართისა და რეგისტრაციის თარიღის თაობაზე.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არანაკლებ 1 წელზე მეტი ვადით (წყვეტილობის არსებობის შემთხვევაში პირი არ უნდა იყოს რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორიის გარეთ).

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შშმ სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	20	2,000	40,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			40,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა განცხადებების მიღება	X	X	X	X
წარმოდგენილი განცხადებების განხილვა	X	X	X	X
თანხის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ბენეფიციართა სოციალური დახმარება და მორალური მხარდაჭერა.

ფორმა # 3.2

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ბენეფიციართა მატერიალური და მორალური დახმარება	ბენეფიციართა რაოდენობა	20	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი